გოთიკური გმირი რუსულ რომანტიზმში
GOTHIC HERO IN RUSSIAN ROMANTICISM

მაია თუხარელი
Maya Tukhareli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გოთური ნაწარმოები, რომანტიკული გმირი, ფატალური გმირი, დემონური გმირი, ინფერნალური გმირი, გოთური კანონი
Keywords: Gothic fiction artwork work, Romantic hero, Fatal hero, Demonic hero, Infernal hero, Gothic canon

მე-18 საუკუნის დასასრულის წინარომანტიკულ ლიტერატურაში გაჩნდა გმირის ახალი ტიპი, რომელიც მანამდე უცნობი იყო რუსული ლიტერატურისთვის.

გოთური ნაწარმოები ექვემდებარება გარკვეულ კანონს (რიტორიკული, ხატოვან-მოტივური, სიმბოლური). აქ ნორმატიულად ისახება შემდეგი პერსონაჟების გამოსახულებები: მითოლოგიური; ბიბლიური; დაცემული ბერი, ფატალური ქალი, დემონი, მოჩვენება, „მაქცია“, ორეული და ა. შ. რუსულ რომანტიკულ ლიტერატურაში გამოყენებული იყო წინარომანტიზმის ლიტერატურაში განვითარებული გმირების სხვადასხვა სახეები.

გოთური ლიტერატურიდან წარმოიშვა რომანტიკული გმირი, ასევე უარყოფითი გმირის ყველა ვარიაცია (დემონური / ფატალური გმირი / ფეოდალი ტირანი და ა. შ.). ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობებში („ლატნიკი“, „საღამო კავკასიის წყლებზე“) გავრცელებულია ფეოდალური ტირანის ტიპი, რომელიც ხასიათდება დესპოტიზმით, თვითნებისყოფით, სისასტიკით. ასევე წარმოდგენილია დაწყევლილი მოხეტიალე გმირის ტიპი, რომელიც განწირულია მარადიული ხეტიალისა და სიცოცხლისათვის,

უფრო ფართოდ გავრცელდა ნეგატიური გმირის ტიპი მ. ლერმნონტოვის შემოქმედებაში და აქტუალური რჩებოდა მისი მთელი კარიერის განმავლობაში. ფატალური/დემონური ან ინფერნალური გმირის ზოგიერთი თვისება ლერმონტოვის ყველა პერსონაჟში გვხვდება, ფართოდ არის წარმოდგენილი გოთური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი გმირების ტიპები – ფატალური გმირის ტიპი („ჩვენი დროის გმირი“, „მასკარადი“), დემონური გმირის ტიპი, რომელიც წარმოდგენილია ღმერთთან მებრძოლი გმირის („დემონი“) და ინფერნალური გმირის („შტოსი“) ქვეტიპებით.

ვ. პ. ტიტოვის მოთხრობაში „ვასილევსკის განმარტოებული სახლი“ გამოსახულია ისეთი გმირის ტიპი, რომელიც თავის შთამომავლობას „ბოროტი სულისგან“ (დემონი, სატანა, ლუციფერი) იღებს.

გოგოლის შემოქმედება მდიდარია ფანტასტიკურ-მითოლოგიური და არქეტიპული მოტივებით; მწერალი თავის ფანტასტიკურ

ნაწარმოებებში პირდაპირ მიმართავს ფოლკლორს, მითსა და გმირულ ეპოსს. ამაშია გოგოლის ფანტაზიის თავისებურება ევროპული რომანტიზმის კონტექსტში.

ა. კ. ტოლსტოის ფანტასტიკური პროზა შეიძლება განიხილოს, როგორც XIX საუკუნის პირველი მესამედის რუსულ ლიტერატურაში გოთიკური ტრადიციის არსებობის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდის შეჯამება, და ასევე, არა მხოლოდ დასავლეთევროპული გოთიკური, არამედ რუსული ტექსტების გააზრება, რომლებშიც ამა თუ იმ სახით შენარჩუნებულია გოთური კანონი. გოთური მოტივების მთელი კომპლექსი რეალიზებულია ა. კ. ტოლსტოის ადრეულ პროზაში. მთავარი მოტივებია: მისტიკური ტექსტი, ეშმაკისთვის სულის მიყიდვა, ნიღაბი, აჩრდილი, ორეული. ა.კ. ტოლსტოი პირველად რუსულ ლიტერატურაში პირდაპირ შეეხო ვამპირიზმის თემას და ვამპირის პერსონაჟი რომანტიკულ გმირად წარმოაჩინა.

ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში რომანტიკული გმირი წარმოიშვა და განვითარდა გოთური ლიტერატურის გავლენით. ბაირონი თავისი გმირის ასახვისას აგრძელებდა გოთურ ტრადიციას; თავის მხრივ, ბაირონულმა პოემამ პირდაპირი გავლენა მოახდინა რუსულ რომანტიზმზე.

ლიტერატურა:

Vacuro V. (2002). Goticheskii roman v Rossii. [Vacuro V. E. Goticheskii roman v Rossii]. M., Novoe literaturnoe obozrenie.

Fedoseeva T. V. (2006). Literatura russkogo predromantizma (1790-1820). M.

The pre-romantic literature of the late 18th century discovered a new type of hero, not previously known in Russian literature.

A Gothic fiction work is subject to a certain canon (rhetorical, motive-figurative, symbolic). The following characters are highlighted among the normative ones: mythological: mythological; biblical; the image of a fallen monk, a femme fatale, a demon, a ghost, a “werewolf”,

a double, etc. Various types of heroes developed in the literature of pre-romanticism were lately used in Russian romantic literature.

Gothic literature introduced the romantic hero, as well as all variations of an antihero (demonic / fatal hero / feudal tyrant, etc.). In the stories of A. A. Bestuzhev-Marlinsky, the common is the type of feudal tyrant, characterized by despotism, self-will and cruelty. There is also a type of cursed wanderer hero, a hero doomed to eternal wanderings and eternal life.

More widely the type of the negative hero is found in Lermontov's works and remains relevant throughout his writing career. Some traits of a fatal/demonic or infernal hero can be found in all of the Lermontov's characters.

Many of the hero types typical to some extent for Gothic literature are depicted in Lermontov's works – such as fatal hero, the type of demonic hero, introduced by the subtypes of the martyr hero and the infernal hero.

Gogol's literary work is rich in fantasy-mythological and archetypal motifs; the writer directly refers to folklore, myth and heroic epos in his fantastic works. This constitutes a special feature of Gogol's fiction in the context of European Romanticism.

Fantastic prose by A. K. Tolstoy can be viewed as summary of the most productive period of the Gothic tradition in the first third 19th century's Russian literature and also the comprehension both of Western European Gothic and of Russian texts, held to a greater or lesser degree in accordance with the Gothic canon.

The origin and development of the romantic hero in European and Russian literature happened under the influence of Gothic literature. Byron, portraying the hero, continued the Gothic tradition, in turn, the Byronic poem had a direct impact on Russian romanticism.

References:

Vacuro V. (2002). Goticheskii roman v Rossii. [Vacuro V. E. Goticheskii roman v Rossii] M., Novoe literaturnoe obozrenie.

Fedoseeva T. V. (2006). Literatura russkogo predromantizma (1790-1820). M.